ერი, რომელიც იბრძვის თავისუფლებისათვის – მოიპოვებს თავისუფლებას!

თავისუფლება

№ 14

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის (დემოკრატების) არაპერიოდული გაზეთი

7 ოქტომბერი 1989

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამემამულენო, საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ერის აქ მცხოვრები ნაციონალური უმცირესობებისა და ყოველი ადამიანის თავისუფლება არა მარტო ჩვენი იდეალია, არამედ ეს კონცეფცია იქცა საქართველოს გადარჩენის ერთადერთ გზად. მაშინ როცა საერთაშორისო სამართალი ერის პოლიტიკური ნების უზენაეს კანონმდებლად თვით ერის ნებას მიიჩნევს, მაშინ როცა ჩვენი დამპყრობელი რუსეთის კომუნისტური იმპერიაც ერთის მხრივ საერთაშორისო სამართლის წინაშე აღიარებს ერის ამ უზენაეს უფლებას, მაგრამ მეორეს მხრივ ვერაგულად სარგებლობს საქართველოში მცხოვრები ხალხის პოლიტიკური ნების მოლუნებით, თავს გვახვევს არასამართლებრივ საბჭოურ პოლიტიკურ სტრუქტურას, ეთნოკრიზისებს და უამრავ ვერაგულ პროვოკაციას, დაუშვებელია არაპროფესიონალური პოლიტიკური ბრძოლა და საკითხების ოხლოკრატიული მეთოდებით გადაჭრა. საქართველოში უკვე დაიწყო პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება, რაც ერთადერთი საშუალებაა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროფესიონალური გზით გასაგრძელებლად.

ქართველ კაცს ეროვნული მოძრაობის ალორძინების პირობებში მეტი პოლიტიკური აქტივობის მისწრაფება გაუჩნდა, მაგრამ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი ცდილობს ეს საყოველთაო მისწრაფებაც გამოიყენოს კომუნისტური იმპერიის სასარგებლოდ და ამომრავებული ერი ოხლოკრატიულ გზაზე დაყენოს. პოლიტიკურ გაერთიანებებში, რომლებსაც არ გააჩნიათ მყარი პოლიტიკური პლატფორმა, წესდება და პოლიტიკური პროგრამა, იგზავნებიან ან შემდგომ ხდება აგენტურის გადაბირება, რომლის საშუალებითაც დიდი პრობლემები იქმნება ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. თანამედროვე ეტაპზე უკვე მიღწეულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გათიშვა და ურთიერთდაპირისპირება. შეიქმნა არა ერთი პროკომუნისტური ან ოხლოკრატიული გაერთიანება, რომლებიც მართალია გაიძახიან, ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ვიბრძვითო, მაგრამ ფაქტიურად ზლუდავენ ამ საქმისათვის ჭეშმარიტად მებრძოლ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს. ამიტომ სავალდებულოდ მივიჩნევთ ხალხი უფრო მეტად გავარკვიოთ სხვა და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების არსში.

საჭიროა ჩამოყალიბდეს სერიოზული და მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც საერთო მიზნებიდან გამომდინარე საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მიმართავენ თავიანთ ძალისხმევას. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონცენტრაცია ამ ერთი მიზნისაკენ შესაძლებელია მხოლოდ ასეთი გამართული სუბიექტების, პარტიების ჩამოყალიბებით და მათი კოორდინირებით. ყოველმა პარტიამ უნდა გამოაქვეყნოს თავისი წესდება და პროგრამა. ქართველი ერი დიდი ყურადღებით უნდა გაეცნოს ასეთ პარტიებს, მათ გარშემო გაერთიანდეს და ჩაებას პოლიტიკურ ბრძოლაში. გამოირიცხება ყოველგვარი პოლიტიკური დაქუცმაცება და ურთიერთწინააღმდეგობა, თუ ეს პარტიები დაიცავენ თავიანთ წესდებებს, პროგრამებს და ქართველი ერიც მათი რაობისდა მიხედვით დაუჭერს მხარს ამა თუ იმ პოლიტიკურ ორგანიზაციას.

ამ ნომერში ჩვენ გთავაზობთ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის /დემოკრატებისა/პოლიტიკურ პროგრამას. ეკონომიკური პროგრამა დაიბეჭდება შემდეგ ნომრებში. სედპ/დ/-ს წესდება დაბეჭდილი იყო "თავისუფლების" მეათე ნომერში.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის (დემოკრატების)

პოლიტიკური პროგრამა

შესავალი

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია /დემოკრატებისა/ აცხადებს:

საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური სტატუსი შეესაბამება მის დამორჩილებულ და მარიონეტულ მდგომარეობას.

1921 წლიდან, როდესაც მოხდა მისი ძალისმიერი ოკუპაცია, საქართველოს რესპუბლიკას წაერთვა სამართალ-სუბიექტობა და აქედან გამომდინარე, პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

ქართველი ხალხი მოკლებულია საშუალებას რეალურად შეაფასოს თავისი დღევანდელი მდგომარეობა და ერთა თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე გაარკვიოს თავისი პოლიტიკური მომავალი.

ქართველ ხალხს არა აქვს თავისუფალი ნების გამოხატვისა და თავისი სამშობლოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვის არავითარი საშუალება, ვინაიდან ის სტრუქტურები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ხალხის გაუყალბებელი ნების გამოხატვა, ბოკირებულია ადგილობრივი მარიონეტული ხელისუფლების მიერ. მეტროპოლიიდან მართვად პოლიტიკურ სტრუქტურებში მოკალათებული ქართველი "კვისლინგები", პირადი ამბიციების გამო არად აგდებენ საქართველოს და მისი მოსახლეობის ბედ-იღბალს.

ამდენად, საჭიროა ამ სტრუქტურების დებლოკირება და იმ ახალი პოლიტიკური სტრუქტურების შექმნა, რომელთა ფუნქციონირების წესიც აგებული იქნება დამოუკიდებელი საქართველოს მოსახლეობის გაუყალბებელ პოლიტიკურ ნებაზე. თუ ეს დროულად არ მოხდა, ქართველი ხალხი დაკარგავს იმ შინაგან მამოძრავებელ ენერგიას, რომელმაც იგი საუკუნეებში გამოატარა, შეუნარჩუნა ეთნოგენეტიკური თავისთავადობა და ისტორიულ-კულტურული გარემოს ქართული ორიენტაცია.

პარტიის პოლიტიკური პლატფორმა მოწოდებულია ჩამოაყალიბოს საზოგადოების მომავალი განვითარების სტრატეგიული მიზანი და მისი განხორციელების სოციალური მექანიზმები.

საერთოდ, ეროვნული, სოციალური და პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობის პროგნოზირება /ექსტრაპოლაცია/ რთულზე რთულესი ამოცანაა, ვინაიდან თითეული მათგანს აქვს მრავალვარიანტიანი განვითარების შესაძლებლობა. თუ რომელი მიმართულება ან განვითარების კონცეფცია იქნეს არჩეული საბოლოო მიზნის მისაღწევად, დღევანდელი საბაზისო პოზიციებიდან გამომდინარე, ეს ბევრადაა დამოკიდებული იმ ლოგიკურ აპარატზე, რომელსაც ფლობს ერის ან სოციალური სუბიექტის სახელით მოლაპარაკე პოლიტიკური ორგანიზაცია. ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას აქვს თავისი მსოფლმხედველობრივი იდეოლოგიური მრწამსი, რომლის საშუალებითაც მას ჩამოყალიბებული აქვს მოვლენებისა და პროცესების ისტორიული ბვრეტის თავისეული ლოგიკური აპარატი. ამ აპარატის საფუძველზე იგი აყალიბებს თავის პარტიულ კონცეფციას, რომელშიც გადმოცემულია ეროვნულ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკუთარი პარტიული თვალსაზრისი.

იმისათვის, რომ საზოგადოების განვითარების მიმართულებათა არჩევანი არ იქნეს მონოპოლიზირებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ერთი მიმართულების მიერ, საჭიროა შესაბამისი სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის არსებობა, რომელიც გამორიცხავდა პოლიტიკურ ჩიხში მომწყვდევის შესაძლებლობას. კაცობრიობის ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ ასეთი სტრუქტურის ფუნქციონირებისათვის საჭიროა მექანიზმი, რომელიც აგებული იქნება პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპებზე და რომელიც მოემსახურება ფართო დიაპაზონის პოლიტიკური აზროვნების რეგულირების ამოცანებს.

პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული ჯანსაღი პოლიტიკური სტრუქტურა თავისებურად გადაამუშავებს სხვადასხვა პარტიულ კონცეფციებში მოცემულ "პოლიტიკურ მასალას" და შესაბამისი სახელმწიფოებრივი მექანიზმის საფუძველზე /პარლამენტის საშუალებით/ ჩამოაყალიბებს თვისობრივად ახალ, საერთო მიმართულების პრაქტიკულად სამოქმედო კონცეფციას. ამიტომ სედპ/დ/-ს პოლიტიკური მიზნის პრაქტიკული განხორციელების მთავარი პირობაა-საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, რომლის ხელისუფლების უმაღლესი მუდმივმოქმედი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და მაკონტროლებელი ორგანო იქნება საქართველოს რესპუბლიკის სათათბირო /პარლამენტი/.

I. გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური ინიციატივები

მრავალპარტიული პოლიტიკური სტრუქტურისა და რესპუბლიკის სათათბიროს დამკვიდრებისას, გარდამავალ, სარეკონსტრუქციო პერიოდის პირველ სტადიაზე, გარკვეული კორექტივების შემდეგ, შეიძლება დროებით იქნეს გამოყენებული 1921 წელს შეჩერებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც დროთა განმავლობაში შეიცვლება ახალი კონსტიტუციით.

ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავება რესპუბლიკის სათათბიროს პრორეგატივაა, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს ახალი რეალიები, შესაბამისი სტრუქტურების ფორმირება და მათი ფუნქციონირების ახალი წესის ჩამოყალიბება. რეფერენდუმზე ახალი კონსტიტუციის მოწონების შემდეგ საქართველოს მოსახლეობა უნდა შეუდგეს ახალი პოლიტიკური სტრუქტურების შექმნის საქმეს.

2. პოლიტიკური პლატფორმა

სედპ/დ/-ს პოლიტიკური პლატფორმა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა/პოლიტიკური მიზანი და მისი შინაარსობრივი დატვირთვა.

ბ/მიზნის განხორციელების სოციალური მექანიზმები.

გ/პარტიის ტაქტიკური პლატფორმის ძირითადი პრინციპები.

იმისათვის, რომ ეს საკითხები არ დარჩეს უნაყოფო პარტიულ-პოლიტიკურ ორიენტირებად, ქვემოთ მოყვანილ თეზისებში ჩამოყალიბებულია ის პრინციპები და ის სოციალური მექანიზმები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ პარტიის პოლიტიკური მიზნის პრაქტიკული განხორციელება.

პოლიტიკური მიზანი და მისი შინაარსობრივი დატვირთვა

საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურები ვერ უზრუნველყოფენ ადამიანის და მთლიანად ქართველი ერის, როგორც არსებული ისტორიულ-კულტურული გარემოს კანონიერი მფლობელის, ელემენტარული უფლებების განხორციელების გარანტიას კაცობრიობის ჰუმანისტური პრინციპების შესაბამისად.

სედპ/დ/-ს პოლიტიკური მიზანია საქართველოში ისეთი სახელმწიფოებრივი სტრუქტურებისა და მექანიზმების შექმნა და ფუნქციონირება, რომელმაც უნდა უზრუნველყონ ეროვნული თვითმყოფადობა, ისტორიული სამართლიანობა, პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპებზე აღმოცენებული ჭეშმარიტი დემოკრატია და ყოველი კონკრეტული ადამიანის უფლება-მოვალეობათა რეალური დაცვა.

მიზნის განხორციელების სოციალური მექანიზმები

პოლიტიკური პლატფორმა განსაზღვრავს პარტიის დამოკიდებულებას შემდეგი სოციალური მექანიზმებისადმი:

ა/სახელმწიფო ხელისუფლება და მისი უმაღლესი ორგანოები.

ბ/რესპუბლიკაში მომქმედი პარტიულ-პოლიტიკური სტრუქტურა.

გ/რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატთა საარჩევნო სისტემა.

დ/აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა.

ე/საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობები.

ვ/სამართლებრივი ხელისუფლება.

ზ/საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

თ/რესპუბლიკის კულტურული და სოციალური განვითარება.

ი/რელიგია და შესაბამისი სტრუქტურები.

კ/რესპუბლიკაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები.

სედპ/დ/-ს პოლიტიკური მიზნების პრაქტიკულად განხორციელების გზაა მსოფლმხედველობრივი, იდეოლოგიურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პლურალიზმის ცხოვრებაში დამკვიდრება, როგორც ეროვნული და საზოგადოებრივი პროგრესის

აუცილებელი წინაპირობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვაცხადებთ საკუთარი პოლიტიკური პლატფორმის შემდეგ სტრატეგიულ ორიენტირებს.

სახელმწიფო ხელისუფლება და მისი უმაღლესი ორგანოები

I.საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არის სრული სუვერენული უფლებების მქონე საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც გაითხატავს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკურ ნებასა და მათ მრავალმხრივ ინტერესებს.

2.სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სამართლებრივი ბერკეტებისა და მეთოდების გამოყენებით.

3.საკანონმდებლო ხელისუფლება შედის რესპუბლიკის პარლამენტის პრეროგატივაში, იგი ახორციელებს აგრეთვე განმკარგულებელ და საკონტროლო ფუნქციებს, აღმასრულებელი და სამართლებრივი ხელისუფლება გამოყოფილია საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან. ხელისუფლების სამივე სახის ფორმირება და ფუნქციონირება ხორციელდება დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციისა და შესაბამისი კანონების საფუძველზე.

4.რესპუბლიკის პარლამენტში მოქმედი მექანიზმი აგებულია მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მუდმივი გათვალისწინებისა და განახლების პრინციპზე. საზოგადოების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებანი დროთა განმავლობაში განიცდიან სახეცვლილებას გარკვეული მუდმივმოქმედი ობიექტური მიზეზებისა და საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის მოთხოვნილებათა შესაბამისად. ამიტომ, პარლამენტში მოქმედმა პოლიტიკურმა მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს ამ პროცესების მწყობრი და უმტკივნეულო გადაწყვეტის შესაძლებლობა.

5.პარლამენტის ჩარევა რესპუბლიკის ეკონომიკის ფუნქციონირების საკითხებში შემოფარგლულია საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის საკანონმდებლო საკითხებით და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროგრამათა განხორციელების ხელმძღვანელობით.

6.სახელმწიფოს მეთაურია-პრეზიდენტი. მისი პრეროგატივა განსაზღვრულია რესპუბლიკის კონსტიტუციით. მის ფუნქციებში არ უნდა შედიოდეს აღმასრულებელი და სამართლებრივი ხელისუფლების განხორციელება.

7.ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს /მუნიციპალიტეტებს/ არ გააჩნიათ საკანონმდებლო ფუნქციები. რესპუბლიკის პარლამენტში ტერიტორიულ და რეგიონალურ ინტერესებს იცავენ საათანადო მაღალუფლებით მოსილი დეპუტატები.

8.პარლამენტში დასაშვებია საპარლამენტო ჯგუფებისა და ფრაქციების შექმნა. პარლამენტში დაცული უნდა იყოს უმცირესობის უფლებები.

9.რესპუბლიკის პარლამენტი ერთპალატიანი ორგანოა. პარლამენტის სხდომებს თავმჯდომარეობს "სპიკერი", რომელიც არეგულირებს პოლიტიკური დებატების ტექნიკურ მხარესა და რეგლამენტს. მას აკრძალული აქვს მონაწილეობის მიღება მიმდინარე დებატებში, პირადი ან პარტიული თვალსაზრისის გამოხატვა. "სპიკერი" გადაირჩევა ყოველწლიურად პარლამენტის წევრების შემადგენლობიდან.

10.საკანონმდებლო ინიციატივის უფლება მინიჭებული აქვთ პარლამენტში შექმნილ ფრაქციებს, ჯგუფებს და ცალკეულ დეპუტატებს.

11.პარლამენტი აყალიბებს შესაბამის საექსპერტო კომიტეტებს ან კომისიებს, რომლებიც კონსტიტუციით ზოგებულ ფარგლებში ახორციელებენ მათ პრეროგატივაში მყოფ საკითხების შესწავლასა და რეკომენდაციების შემუშავებას.

12.სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა გაიტანება საერთო-სახალხო სამსჯავროზე. შესაბამისი კანონის საფუძველზე დაშვებული უნდა იყოს ამ საკითხების რეფერენდუმზე გატანის შესაძლებლობა.

რესპუბლიკის პარტიულ-პოლიტიკური სტრუქტურა

I.რესპუბლიკის პოლიტიკური სუვერენიტეტისა და მასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევა შედის საქართველოს მოსახლეობის პრეროგატივაში. არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას არა აქვს უფლება მიიჩნიოს თავის თავი ხალხისა და ერის ინტერესების ერთადერთ ჭეშმარიტ გამომხატველად. ხალხის ნება დგას ყველა პოლიტიკური პარტიის ნებაზე მაღლა.

2.საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემა დაფუძნებულია მრავალპარტიულ სტრუქტურაზე.

3.მომქმედი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოღვაწეობენ საკუთარი წესდებისა და პროგრამის შესაბამისად და კონსტიტუციით მინიჭებული პოლიტიკურ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში. აქედან გამომდინარე, მათი საქმიანობა ავტონომიურია და მხოლოდ კონსტიტუციური მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში მათ მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

4.რეგისტრაციაში გატარების უფლება აქვს ყველა პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც არ ეწინააღმდეგება რესპუბლიკის კანონმდებლობას და რომელსაც აქვს რესპუბლიკის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მხარდაჭერა.

5.რეგისტრირებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები წარმოადგენენ [illegible] პირს და აქედან გამომდინარე, სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რომლებითაც აღჭურვილია იურიდიული პირი.

6.პარტიის ძირეული, ადგილობრივი ორგანოები არ ერევიან მუნიციპალიტეტების საქმიანობაში.

რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატთა საარჩევნო სისტემის ძირითადი პრინციპები

I.კანონი რესპუბლიკაში პირველი თავისუფალი არჩევნების ჩატარების შესახებ მიიღება მისი ფართო განხილვისა და რეფერენდუმის ჩატარების საფუძველზე.

2.კანონში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ზოგადი პრინციპები:

ა/არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია შეიქმნას საზოგადოებრივ საწყისებზე ბრავალპარტიულობის, პარიტეტისა და ერთხმიანობის /კონსენსუსის/ პრინციპების გათვალისწინებით.

ბ/კომისიის წევრთა რაოდენობა და მისი შემადგენლობა განისაზღვროს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

გ/საარჩევნო ტერიტორიული ოლქების სია, მათი საზღვრები და ადგილობრივი საარჩევნო კომისიების ადგილმდებარეობა განისაზღვროს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ.

დ/საარჩევნო ოლქებში შევიდეს ამომრჩეველთა /და არა მოსახლეობის/ თანაბარი რაოდენობით დასახლებული ტერიტორიული ერთეულები. საარჩევნო ოლქები დაიყოს საარჩევნო უბნებად.

ე/პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების უფლება მიენიჭოთ პოლიტიკურ პარტიებსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ვ/ყველასათვის გარანტირებული იყოს წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების შესაძლებლობა.

ზ/რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატთა არჩევნები დაფუძნებული იყოს პროპორციული წარმომადგენლობის სისტემაზე.

თ/არჩევნების პერიოდულობა განისაზღვროს კონსტიტუციური მოთხოვნებით.

აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა

I.ადგილობრივი მმართველობა ხორციელდება მმართველობის მუნიციპალური ფორმის გამოყენების საფუძველზე. მუნიციპალიტეტების არჩევნების ჩატარება დაფუძნებული უნდა იყოს არსებულ საერთაშორისო გამოცდილებაზე.

2.რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობის ფორმირება, დამტკიცება და დაშლა შედის რესპუბლიკის პარლამენტის პრეროგატივაში. ეს პროცედურები ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას. თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლება ავტონომიურია საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან.

3.აღმასრულებელი ხელისუფლება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კონსტიტუციით გათვალისწინებული პრეროგატივით და შესაბამისი კანონებით დაშვებული უფლებამოვალეობებით.

4.რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობა ახორციელებს იმ ფუნქციებს, რომლებიც დარჩენილია მუნიციპალიტეტების პრეროგატივის გარეთ.

5.ვინაიდან რესპუბლიკის ეკონომიკის ფუნქციონირება ძირითადში ეფუძნება დეცენტრალიზაციის პრინციპს /იხ. ეკონომიკური პლატფორმა/ შეკვეცილია სამინისტროთა და ცენტრალურ უწყებათა რაოდენობა და მათი ფუნქციები.

6.ცენტრალური მთავრობა შეიძლება იყოს როგორც კოალიციური, ასევე ერთპარტიული.

რესპუბლიკის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი

I.მოქალაქეთა უფლება-მოვალეობებს არეგულირებს რესპუბლიკის კონსტიტუცია და პარლამენტის მიერ მიღებული შესაბამისი კანონები /განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოქალაქის სტატუსის ფორმულირებას/.

2.მოქალაქეთა უფლება-მოვალეობათა სამართლებრივი ნორმები დაფუძნებულია გაეროს მიერ 1948 წელს მიღებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მოთხოვნებზე და 1966 წელს მიღებულ ადამიანის უფლებათა პაქტებზე.

3.რესპუბლიკის სახელმწიფო და სამთავრობო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ არაქართველი მოსახლეობის უფლებამოვალეობათა განხორციელებას საერთაშორისო ნორმებისა და ტრადიციების შესაბამისად. რესპუბლიკაში უპირატესი უფლებით სარგებლობს ქართული კულტურულ-ისტორიული გარემოს შენარჩუნების საკითხები. ამიტომ მისი ქართული ორიენტაციის შენარჩუნების მიზნით, სახელმწიფო ფინანსიურ თუ სხვა სახის დახმარებას უწევს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური სტრუქტურების შესაბამისი მექანიზმების სრულყოფილად ფუნქციონირებას.

რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობას აქვს უფლება პირადი სახსრების საფუძველზე შეინარჩუნოს და განავითაროს თავისი ანალოგიური შესაბამისი სტრუქტურები. სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებში ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლები არ იზღუდებიან. მათ აქვთ ქართული-კულტურული გარემოში აქტიური მონაწილეობის უფლება.

სამართლებრივი ხელისუფლება

I.მართლწესრიგის, პროკურორული ზედამხედველობისა და არბიტრაჟული ორგანოების ფუნქციონირ[illegible] საკითხები გა[illegible]ული და დაკანონებული უნდა იქნეს რესპუ[illegible]ლამენტის მიერ, საერთაშორისო გამოცდილებისა და [illegible]ციების შესწავლის საფუძველზე და პოლიტიკური პლ[illegible]მის პრინციპებზე დაყრდნობით. ურთიერთობათა [illegible]ბა ყველა სამართლებრივ სუბიექტებს შორის უნდა შეესაბამებოდეს სამართლებრივ ნორმებსა და კ[illegible]ბიც მოწონებულია ხალხისა და მისი ნების გამომხატველი ორგანოს მიერ.

2.შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საიდუმლო სამსახურის უფლება-მოვალეობანი მკვეთრადაა გამიჯნული.

რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

I.საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საგარეო პოლიტიკას ახორციელებს მუდმივი ნეიტრალიტეტის და ურთიერთხელსაყრელი და თანასწორი ეკონომიკური ურთიერთობის საყოველთაოდ მიღებული ნორმების შესაბამისად.

2.რესპუბლიკას ჰყავს თავის საგარეო ნაწილები, სამხედრო დოქტრინა ემსახურება რესპუბლიკის თავდაცვის ამოცანებს.

3.პირველ ეტაპზე, სამხედრო სამსახური საყოველთაო და სავალდებულოა. პერსპექტივაში შეიქმნება საქართველოს პროფესიული არმია.

კულტურა და სოციალური განვითარება

I.სახელმწიფო ხელს უწყობს სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის, ბინათმშენებლობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურეობის დაწესებულებათა ქსელის საქმიანობის შემდგომ განვითარებას.

2.საშუალო განათლება რესპუბლიკაში საყოველთაოა.

3.სახელმწიფო ხელს უწყობს ჭეშმარიტი ხელოვნების დამკვიდრებასა და განვითარებას.

4.სახელმწიფო ფინანსიურ მხარდაჭერას უწევს ფუნდამენტური და საზოგადოებრივი მეცნიერებების განვითარებას.

5.სახელმწიფო ხელს უწყობს საზოგადოებრივი მოხმარების ფონდების და სხვა საქველმოქმედო ფონდების შექმნის საქმეს. იმავე დროს იგი მტკიცედ დგას ამ ფონდების გამოყენების სტრუქტურის შემდგომ სრულყოფაზე, სოციალურად ნაკლებადუზრუნველყოფილი მოსახლეობის საჭიროებათა უპირველესი გათვალისწინების საფუძველზე.

6.სახელმწიფო ხელს უწყობს მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას. დაშვებულია პროფესიული სპორტი.

7.ხალხის ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის სახელმწიფო იღწვის სულიერი ღირებულების დაცვის, გამრავლების და ფართოდ გამოყენებისათვის, ხელს უწყობს ხალხური მხატვრული თვითშემოქმედების, კულტურის და ისტორიული მემკვიდრეობით გარემოს შენახვის ეროვნულ საქმეს.

8.ქართული ენა სახელმწიფო ენაა. საქმის წარმოება უკლებლივ ყველა დაწესებულება-ორგანიზაციებში ხორციელდება სახელმწიფო ენის გამოყენებით. სახელმწიფო ენის შენარჩუნების, განვითარების და შესწავლისათვის სახელმწიფო იღებს შესაბამის ფინანსიურ ხარჯებს.

რელიგია და შესაბამისი სტრუქტურები

I.ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ავტონომიურია და სახელმწიფოსაგან არ იზღუდება თავის განვითარებაში.

2.სხვა არსებული რელიგიები და მათი შესაბამისი სტრუქტურებიც ავტონომიურია. ამავე დროს, ქართული ისტორიულ-კულტურული გარემოს დაცვის მიზნით ამ სტრუქტურების რაოდენობრივი გაფართოება იზღუდება სახელმწიფოს მხრიდან.

3.რელიგიური განათლება სამოქალაქო ტიპის დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სკოლებში ნებაყოფლობითია.

პარტიის ტაქტიკური პლატფორმის ძირითადი პრინციპები

პარტია მოქმედებს და იმოქმედებს როგორც მშვიდობიანი დემოკრატიული ოპოზიციური ძალა, ყველა არსებული პოლიტიკური, საერთაშორისოდ ცნობილი სამართლებრივი საშუალებებისა და ნორმების გათვალისწინებით.

იგი ფართოდ გამოიყენებს თავის საქმიანობაში სახალხო დიპლომატიას, რათა დაამყაროს მჭიდრო კონტაქტები თავისუფალი სამყაროს სხვადასხვა ქვეყნებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, პოლიტიკურ პარტიებთან და ორგანიზაციებთან. პარტია შეეცდება გააღრმავოს თანამშრომლობა და საერთო მოქმედების კოორდინაცია საბჭოთა კომუნისტურ იმპერიაში მოქმედ ყველა ეროვნულ და დემოკრატიულ ძალებთან.

პარტიის ტაქტიკური პლატფორმის ზემოთაღნიშნული პრინციპები განსაზღვრავენ პარტიული საქმიანობის ძირითად საერთო მოთხოვნებს. მათი დაკონკრეტება შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად ხორციელდება ფარტიული წესდების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

დაგვირეკეთ: 39.65.77. მაყვალა ჩახვაძვილი,
36.71.87. ვახტანგ ტალახაძე, 12.60.34. შეფან შუბაბრია.
გაზეთი მოამზადეს: ვაჟა მთავრიშვილმა, ვახტანგ ტალახაძემ, თენგიზ შარმანაშვილმა, მ[illegible] ჩახვაძვილმა, თეიმურაზ მნათობელმა და გიორგი [illegible].